ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) "თალბია" (უმრის ან ჰაჯობის წინ წარმოსათქმელი ვედრება) შემდეგნაირი იყო: «ღმერთო მე შენს წინაშე ვარ, შენს წინაშე ვარ, ღმერთო შენს წინაშე ვარ და არ გყავს შენ მოზიარე, ჭეშმარიტად, ქება-დიდება და წყალობა შენ გეკუთვნის, მეუფება შენ გეკუთვნის და არ გყავს შენ მოზიარე

გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ უმარისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი): «ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) "თალბია" (უმრის ან ჰაჯობის წინ წარმოსათქმელი ვედრება) შემდეგნაირი იყო: «ღმერთო მე შენს წინაშე ვარ, შენს წინაშე ვარ, ღმერთო შენს წინაშე ვარ და არ გყავს შენ მოზიარე, ჭეშმარიტად, ქება-დიდება და წყალობა შენ გეკუთვნის, მეუფება შენ გეკუთვნის და არ გყავს შენ მოზიარე» / ლაბაიქა ლლაჰუმმა ლაბაიქ, ლაბაიქა ლაა შარიიქა ლაქა ლაბბაიქ, ინნალ ჰამდა ვა ნნი'მათა ლაქა ვალ მულქ, ლაა შარიიქა ლაქ /, თქვა: აბდულლაჰ იბნ უმარი (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) ამ სიტყვებს ამატებდა: შენს წინაშე ვარ, შენს წინაშე ვარ, მზად ვარ გემსახურო, ყველა სიკეთე შენს ხელთაა, შენ წინაშე ვარ, შენსკენაა ყველა სწრაფვა და მოქმედება /ლაბბაიქა, ლაბბაიქა, ვა სა'დაიქა, ვალხაირუ ბიადაიქა, ლაბბაიქა ვარრაღბააუ ილაიქა ვალ 'ამალუ/»

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თალბია იყო, როცა მას ჰაჯობის ან უმრას დაწყება სურდა შემდეგი, ის ამბობდა: (ღმერთო ჩემო, მე შენს სინაშე ვარ) – ეს არის მორჩილების პასუხი შენთვის, ალლაჰო, რადგან გვიხმე ერთგულების, თავჰიდის, ჰაჯისა და სხვა საქმეებისკენ, (მე შენს წინაშე ვარ, არ გყავს შენ მოზიარე) – რადგან მხოლოდ შენ ხარ ღირსი თაყვანისცემისა, არავინ გყავს პარტნიორად შენს ბატონობაში, ღვთაებრიობაში, სახელებსა და თვისებებში, (შენ გეკუთვნის ქება-დიდება) – მადლიერება და შექება, (და წყალობა) – ყველა მადლი შენგან მოდის და შენ ხარ მისი მიმნიჭებელი, (შენ გეკუთვნის) – მხოლოდ შენ გეკუთვნის ყველა მდგომარეობაში, (და მეუფება) – ასევე მბრძანებლობა მხოლოდ შენ გეკუთვნის, (არ გყავს შენ მოზიარე) – შენ არ გყავს თანაზიარი არც ერთ ამ საკითხში, რადგან ყველაფერი მხოლოდ შენ გეკუთვნის. იბნ უმარი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ამ ვედრებას ამატებდა: (მე შენს წინაშე ვარ, შენს წინაშე ვარ და მზად ვარ გემსახურო) – დამასაჩუქრე სიხარულით და კეთილდღეობით, როგორც აქამდე, კვლავაც, (ყველა სიკეთე შენს ხელთაა) – ყოველი სიკეთე მხოლოდ შენს ხელშია და შენი მოწყალება არის, (შენს წინაშე ვარ და ყველა მისწრაფება შენსკენაა) – ყველა თხოვნა და ლოცვა მხოლოდ შენკენ არის მიმართული, რადგან სიკეთე მხოლოდ შენს ხელშია,

(და ყველა საქმე) – ყველა საქმე მხოლოდ შენთვის სრულდება, რადგან მხოლოდ შენ ხარ ღირსი თაყვანისცემისა.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/4535

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee